ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება

განკარგულება:**g-13.13222712**
თარიღი:**28/09/2022**

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე

,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ'' ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე'' ქვეპუნქტის, 61–ე მუხლის მე-2 პუნქტისა და ამავე კანონის 108-ე მუხლის შესაბამისად,

1. მიეცეს თანხმობა ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიას, გადასცეს სახელმწიფოს უსასყიდლოდ საკუთრებაში, შემდგომში ა(ა)იპ საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისათვის გადაცემის მიზნით, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება:

ა) ახალციხის მუნიციპალიტეტის, სოფელ კლდეში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა, საკადასტრო კოდით N62.06.53.917;

ბ) ახალციხის მუნიციპალიტეტის, სოფელ სხვილისში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა, საკადასტრო კოდით N62.08.55.343;

გ) ახალციხის მუნიციპალიტეტის, სოფელ ხეოთში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა, საკადასტრო კოდით N62.11.58.373;

დ) ახალციხის მუნიციპალიტეტის, ქალაქ ვალეში, ვაჟა - ფშაველას ქუჩის მიმდებარედ არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა, საკადასტრო კოდით N62.15.54.041;

ე) ახალციხის მუნიციპალიტეტის, სოფელ ურაველში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა, საკადასტრო კოდით N62.11.56.561;

ვ) ახალციხის მუნიციპალიტეტის, სოფელ თისელში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა, საკადასტრო კოდით N62.04.61.298;

ზ) ახალციხის მუნიციპალიტეტის, სოფელ საძელში არსებული არასასოფლო-

სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა, საკადასტრო კოდით N62.13.52.209;

თ) ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ღრელში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა, საკადასტრო კოდით N62.10.53.096.

საფუძველი - სსიპ ,,სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს'' 2022 წლის 07 სექტემბრის N5/50425, 2022 წლის 21 სექტემბრის N5/52683 და 2022 წლის 22 სექტემბრის N5/53158 მომართვები.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ახალციხე, მებაღიშვილის ქ. N60ª).

დავით ლომიძე

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი